ტექნიკური დავალება

„გამამდიდრებელი ფაბრიკის დაქუცმაცების ციკლის აპრობირება და მოდელირება წარმადობის 3,0 და 3,5 მლნ ტ/წ-მდე გაზრდის გათვალისწინებით“

დამკვეთი: სს „არემჯი კოპერი“

სამუშაოს მიზნები და ამოცანები: დაქუცმაცების ოპტიმალური აპარატული სქემისა და რეჟიმების განსაზღვრა იმისათვის, რომ გამამდიდრებელი ფაბრიკის საერთო წარმადობა წელიწადში 3,0 და 3,5 მლნ ტ მადნამდე გაიზარდოს, მათ შორის, პოლიმეტალის მადნების გადამუშავება წელიწადში 0,4 მლნ ტ მოცულობით ორივე ვარიანტისათვის. დამატებით, პროცესის დაშლამვის შემცირებისათვის საჭირო ზომების შემოთავაზება.

საწყისი მონაცემები/ნიმუშები კვლევითი სამუშაოებისთვის:

- მადნეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის დაქუცმაცების მიმდინარე სქემა (დანართი 1)
- ბექთაქარის გამამდიდრებელი ფაბრიკის დაქუცმაცების საპროექტო სქემა, აღჭურვილობა საწყობში (დანართი 2)
- სპილენძის მადნების გადამუშავება შიხტაში: საყდრისი, მუშევანი, მადნეული (1:1:1)
- პოლიმეტალის მადნების გადამუშავება: ბექთაქარი, კაზრეთი. კაზრეთის საბადოს მადნები ამჟამად არ მუშავდება
- კონტრაქტორის მიერ 1 ფაზის ფარგლებში შეგროვებული დამსხვრეული მადნისა და დაქუცმაცების პროდუქტების ნიმუშები
- სხვა მონაცემები კონტრაქტორის მოთხოვნისამებრ

სამუშაოების მოცულობა:

1. ადრე შესრულებული სამუშაოების მიმოხილვა.

2. მადნეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის დამსხვრევისა და დაქუცმაცების განყოფილებების აპრობირება.

- აპრობირების პროგრამის მომზადება და შეთანხმება დამკვეთთან;

- აპრობირების მართვა. აპრობირება ტარდება დამკვეთის ძალებით.

3. ტესტების ჩატარება გამამდიდრებელი ფაბრიკის ნიმუშებზე

- შემადგენლობას განსაზღვრავს კონტრაქტორი ტენდერის ეტაპზე სამუშაოს მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

4. პროცესის მოდელირება, რეკომენდაციები

- დამსხვრევა-დაქუცმაცების ციკლების მოდელირება აპარატურული სქემის, დაქუცმაცება-კლასიფიკაციის რეჟიმებისათვის (პროდუქტების გრანულომეტრიული შემადგენლობა, დამფქვავი სხეულების ზომა დაქუცმაცების ეტაპების მიხედვით)

დამატებითი მოთხოვნები:
ტენდერის მონაწილე წარმოადგენს ინფორმაციას ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ.

დანართები:
1. მადნეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის დაქუცმაცების მიმდინარე სქემა
2. ბექთაქარის გამამდიდრებელი ფაბრიკის დაქუცმაცების საპროექტო სქემა